ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №40

2018 წლის 23 ოქტომბერი

ქ. ბოლნისი

„ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 20 ნოემბრის №48 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ საქართველოს ორგანული კანონის 61-ე მუხლის მეორე პუნქტის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4, მე-6, მე-7 და მე-8 პუნქტების საფუძველზე, ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

„ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 20 ნოემბრის №48 დადგენილებით (www.matsne.gov.ge, 21/11/2017, 010250040.35.158.016373) დამტკიცებულ დანართ №1-ში შევიდეს შემდეგი ცვლილება: დადგენილებით დამტკიცებული დანართი №1-ის მე-16 მუხლს დაემატოს მერვე პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„8. საკრებულოს წევრის უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯის დამადასტურებელი პირველადი დოკუმენტაციის წარდგენა სავალდებულო არ არის.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ბოლნისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — თამაზ ჟორჟოლიანი